ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები 2023 წელს

მოგახსენებთ, რომ 2023 წელს, სასაფლაოების საქმიანობის განსახორციელებლად სასაფლაოებზე ძმათა-1 და ძმათა 2-ზე, საკალანდარიშვილოს, მთის კალთის, შხეფის, მენჯის, თეკლათის, 1-ნოსირი ,2- ნოსირი, ახალსოფელი, ლეძაძამე, ეტაპობრივად ხდებოდა მუშა-სპეციალისტების საქმიანობის მონიტორინგი, ვახდენდით სამარხისთვის მიწის გამოყოფას, სათანადო საბუთების მოთხოვნას, დაინტერესებულ პირებზე ნახაზის შედგენას.

მუშა-მოსამსახურეების მიერ ყოველდღიურად ხდებოდა სასაფლაოებზე ნაგვის ნარჩენების (ბოთლები, ყვავილები) შეგროვება და გატანა სასაფლაოების ტერიტორიიდან.

2023 წელს რეგისტრაციაში გავატარეთ და საჭირო დოკუმენტაცია შევადგინეთ 139 დაინტერესებულ პირზე. მათ შორის მიწის გამოყოფა მოხდა 61 პირზე და რეგისტრაციაში გატარდა 78 დაინტერესებული პირი , რაზედაც გაიცა სათანადო დოკუმენტაცია, შემოსულმა თანხამ 2023 წელს შეადგინა 10448 ლარი.

ყველა სასაფლაოზე შესრულდა ეკალ-ბარდებისა და ჩამოტეხილი ხის ტოტებისაგან გაწმენდისა და გატანის სამუშაოები.

სტიქიის შედეგად ნოსირი, ზანა, მენჯი, ძმათა სასაფლაოებზე შესრულდა, წაქცეული ხეების მოჭრა და გადაბელვითი სამუშოები .

2023 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში მენჯის სასაფლაოზე გაიჭრა არხი-250 გრძ/მეტრზე და გაიწმინდა არხის მიმდებარე ტერიტორია ეკალ- ბარდებისაგან.

თეკლათის სასაფლაოზე გაიჭრა არხი 500 გრძ/ მეტრზე და გასუფთავდა არხის მიმდებარე ტერიტორია. აგრეთვე გაიჭრა ახალი სამანქანო გზა და შესრულდა მოხრეშვა-მოშანდაკებითი სამუშაოები.

თეკლათის სასაფლაოზე გაიჭრა სანიაღვრე არხი და ჩაიდო სანიაღვრე ჭა.

სასაფლაოებზე შხეფი, თეკლათი, მენჯი, ძმათა შესრულდა გაწმენდითი სამუშაოები ეკალ-ბარდებისა და დაზიანებული ხეებისაგან , შემოღობითვი სამუშაოების ჩასატარებლად.

ბენეფიციალების მიერ რამდენიმე ეტაპად მოითიბა და გაიწმინდა 102 სასაფლაოს ტერიტორია.